ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების ნაბიჯები

ევროკავშირში ახალი წევრის მიღება ეფუძნება ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო შესაძლოა გახდეს ევროკავშირის წევრი თუ ის აღიარებს ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს:

> **" ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, მათ შორის უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებები. "**

ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. "**კოპენჰაგენის კრიტერიუმებს**". გაწევრიანების კრიტერიუმები შემუშავებულ იქნა 1993 წელს ევროპული საბჭოს კოპენჰაგენის სამიტზე, ესენია:

პოლიტიკური კრიტერიუმები: დემოკრატიის უზურნველმყოფი ინსტიტუტების სტაბილურობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, უმცირესობათა დაცვა და პატივისცემა;

ეკონომიკური კრიტერიუმები - ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ევროკავშირის საბაზრო კონკურენციასთან გამკლავების უნარი;

ინსტიტუციური კრიტერიუმები - ქვეყნის უნარი, ეფექტიანად განახორციელოს წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებები; ევროპის კავშირის მიზნებისადმი ერთგულება, პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ჩათვლით.

ევროკავშირში გაწევრიანების ძირითადი ნაბიჯები

1 ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყანა, გაწევრიანების განაცხადს უგზავნის ევროპის კავშირის საბჭოს, რომელიც თავის მხრივ სთხოვს ევროკომისიას შეაფასოს განმცხადებელი ქვეყნის მზაობა გაწევრების პროცესისთვის.

2 ევროკომისია აფასებს თუ რამდენად აქვს განმცხადებელ ქვეყანას სტაბილური ინსტიტუტები, რათა უზრუნველყოს დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ასევე ევროკავშირისადმი კონკურენტუნარიანი ქმედით საბაზრო ეკონომიკა, რათა დაძლიოს კოპენჰაგენის კრიტერიუმების მოთხოვნები.

3 ევროკომისიის შეფასების საფუძველზე ევროკავშირის წევრი ქვეყნები იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას, ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ.

4 ვროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ყველა წევრ სახელმწიფოსთან შეთანხმებით იწყება მოლაპარაკება გაწევრიანების შესახებ.

5 ევროკომისია წარადგენს მოლაპარაკების ჩარჩოს პროექტს, როგორც განხილვების დაწყების საფუძველს, რომელიც შემდეგ უნდა შეთანხმდეს წევრ სახელმწიფოებთან.

6 მოლაპარაკების დროს, რომლებიც დაყოფილია ჯგუფებად (კლასტერებად) და თავებად, ქვეყანა ემზადება ევროკავშირის კანონებისა და სტანდარტების დანერგვისთვის. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა უნდა შეთანხმდეს, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია თითოეულ შემთხვევაში.

7 ყველა სფეროში მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, ევროკომისია წარადგენს მოსაზრებას ქვეყნის მზაობის შესახებ გახდეს ევროკავშირის წევრი.

8 ევროკომისიის მოსაზრების საფუძველზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთხმად წყვეტენ მოლაპარაკების პროცესის დასრულების საკითხს. ასევე აღნიშნულს უნდა დაეთანხმოს ევროპარლამენტი.

9 ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა, ისევე როგორც კანდიდატი ქვეყანა, ხელს აწერს გაწევრების ხელშეკრულებას და ახდენს მის რატიფიცირებას; რაც საშუალებას აძლევს ქვეყანას გახდეს ევროკავშირის წევრი.

ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკების ჩარჩო

2020 წელს ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკების განახლებული მეთოდოლოგიის დანერგვის შემდგომ, მოლაპარაკების თავები იყოფა ექვს თემატურ ჯგუფად:

1. ფუნდამენტრური საკითხები
2. შიდა ბაზარი
3. კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა
4. მწვანე ეკონომიკა და მდგარი განვითარება
5. რესურსები, სოფლის მეურნეობა და კოოპერაცია
6. საგარეო ურთიერთობები



მოლაპარაკებები თითოეულ მიმართულებაზე იწყება ერთიანად - მას შემდეგ, რაც ქვეყანა შეასრულებს წინმსწრებ პირობებს. თითოეული თავი განიხილება ინდივიდუალურად მისთვის გამოყოფილი დროითი ინტერვალის შესაბამისად. მოლაპარაკებები იწყება და სრულდება მსჯელობით ფუნდამენტურ საკითხებზე; ამდენად, ფუნდამენტური საკითხების ჯგუფში პროგრესი განსაზღვრავს მოლაპარაკებების საერთო ტემპს. პრიორიტეტულ რეფორმებში საკმარისი პროგრესი გამოიწვევს ევროკავშირში მნიშვნელოვან ინტეგრაციას; ინტეგრაცია დაჩქარდება ინვესტიციებისა და დაფინანსების (გა)ზრდით.

წყარო: ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/system/files/2021-10/eu_accession_process_clusters.pdf?fbclid=IwAR36zaaPdcIPJe4M47YFWdxCGaNlTsPlj-Zh359p6PA5Px4R2egFkuYtOIo

© ევროკავშირი, 2021